ეშეკოს მაზა

ილუსტრირებული ჟურნალი № 11

13 მარტი, 1911 წ. ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხმელ კვირეულის გამოცემა



პატარა მგოსანი. აი ძია, დამიბეწდე ეს ლექსი. ოცი სტლიქონია და ცხლამეტი კაპიკი მოგიტანე.

ივ. როსტომაშვილი. ძლიერ კარგი პატარავ, მაგრამ კაპიკი რომ აკლია? ჩემთვის ხომ არ მინდა. საქვეყნო საქმეა!!;

ხსნა მამულისა.*)

—„ნეტავ რა იხსნის
ჩვენსა მწერლობას?
რით აყვავდება
პრესსა ქართული?“
(ივან პავლოვიჩ როსტომაშვილი
ამ ღრმა ფიქრებში იყო გართული.)
— „გაზეთ „ხალხს“
უკვე აღმოხდა სული .
ჩემს „სინათლესაც“
აქვს გულის ძგერა,
და რომ მომიკვდეს...
ივერთა ტომი
ამ დარდს გადიტანს
ნეტავ, თუ ვერა?“
(მართლაც ძნელია ასეთი ყოფა!..
რაგინდ მამაცი იყოს ქართველი,
აქ მოთმინება აღარ ეყოფა ...
ერთობ მძიმეა ეს განსაცდელი.
როსტომაშვილის მოვწყდეთ „სინათლეს“
ვინ მივუსისოთ მაშინ სიმართლეს?)
—„კაპიკი მოდის
თითო ნომერზე...
შემოსავალი
ხარჯებს ვერ ფარავს.
ჰაღარა წვერის
კენწეროს ვფიცავ:
არც მე ვხარჯმეტობ,
არც არვინ მპარავს.
რა ეშველება
ამ მწარე ყოფას,
გზა სად მოვნახო
თავ დასახწევი,
რომ არ მოუკვდეს
ჩვენ ხალხს „სინათლე“
საერო გლოვა—
ჭირთ გამომწვევი.“
(ათასი აზრი უნიავებდა
მოხუცსა, სახე დანაოჭებულს,
და მწარე ცრემლსა დაადინებდა
„სამარხ კასების“ ავტორსა ქებულს.
მას თვალწინ ედგა ის დღე გლოვისა,
საერო გლოვის და ვალალების,
დღე „სინათლისა“ დატირებისა
სახე დაცრემლულ ხალხთა თვალების,
და კვლავ ატანდა თავს ძალადობას,
აზრს დეზებს სცემდა, არ ასვენებდა
და უდაბურსა საოცნებოში
წაღმა-უკუღმა დააჭენებდა)
—„ევრიკა!!! ხალხნო
და ჯამაათნო!
გზა კვლავ დავუნოსე
მე სასიცოცხლო,
„სინათლის“ შუქი
კვლავ იბარბაცებს
და შენც ნება გაქვს,
ხალხო, იცოცხლო.
ვისაც კი მცირედ
შესტკივა გული
ქართველი ხალხის
ბედს და იღბალზე,
ვისაც კი უნდა,
ხალხს გაჭირვებულს
ტანჯვის ცრემლები
შეაშრეს თვალზე...
ვისაც კი უყვარს
სამშობლო კერა,
მისი წიაღი,
მისი მთა-ველი,
მან, ამ საქვეყნო
საკურთხევლისთვის,
არცა დაზოგოს
შესაწირველი!!!
მან გონორარის
განსდევნოს აზრი,
და თავს არ მისცეს
უქმად ზიანი,
ჩვენ კი, სტატიის
დასაბეჭდავათ,
სტრიქონზე მოგვცეს
კაპიკიანი.“
(რა ეს განევლო, აზრი უებრო,
რედაქტორისა თავისა ქალას,
აღტყინდა მისი მთელი ბუნება,
სიხარულისა ვერ იტევს ძალას.
მყის მოწინავე „სინათლის“ პირად
მან გამოაცხო და მოათავსა...
ჰოი, მამულო, მრავალ-ტანჯულო!!!
რა რიგად ზიდავ შენ ამგვარ თავსა.

ეშმაკი.

*)შენი გულისა!!

სასიამოვნო.

დეპეშები

ახალქალაქი (გორის მაზრა) თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ხალხის შეგნება გაცილებით წინ დგას, ვიდრე რუსებისა. პატივცემულმა პურიშკევიჩმა მხოლოდ ამ ორი კვირის წინეთ შეიგნო თეატრის მავნებლობა ხალხისათვის, რაიც ისეთ რიხით აუწყა ქვეყნიერობას დუმის ტრიბუნიდან.

ჩვენმა, ახალქალაქელმა პურიშკევიჩებმა კი რამდენი ხანია ცხოვრებაში გაატარეს ეგ პურიშკევიჩური პრინციპი და ადგილობრივ თეატრს ძირი გამოუთ ხარეს. მაშ გაუმარჯოს ახალქალაქელ ქართველ პურიშკევიჩებს.

იქიდანვე. ერთ მშვენიერ დღეს ავათმყოფებმა ადგილობრივ საავათმყოფოში, სრულიად მოულოდნელად, ბ-ნი ექიმი ვაშაძე აღმოაჩინეს. ეს ისეთი იშვიათი შემთხვევაა, რომ ხალხმა ეკლესიებში ზარების რეკა ასტეხა და სოფელმაც სადღესასწაულო სახე მიიღო.

თფილისი როგორც იქნა შესდგა „კანონიერი რიცხვის დასწრების გამო“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრთა მორიგი კრება. ეს მეხუთეჯერ იყო დანიშნული და თუ დღესაც არ შემდგარიყო ვინიცის საზოგადოების საქმეებს რა საფრთხე მოელოდა. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა უმთავრესი საკითხი: ტურიაშვილის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდის გადახდის შესახებ და უკვე სისრულეშიაც მოიყვანა თავისი გადაწყვეტილება.

თელავი. ჩვენი არტისტების ტრაბახი საბედნიეროთ ბოლო ელება. 13 თებერვლის წარმოდგენაზე ბ-ნ აწყურელს, რომელიც ლოთის როლს თამაშობდა, სამაგალითო გაკვეთილი მისცეს ადგილობრიმა მოქალაქეებმა: ს. ს—ვმა და ს. ჩ—ვმა. ისინი ხალხს კი არ ატყუებდენ, არამედ მართლა მთვრალნი მობრძანდენ თეატრში და როგორც შეეფერები ჰეშმარიტ მთვრალს, ისე ჩაატარეს თავისი მძიმე როლები. სცენაზე თამაშობას თითქმის აღარავინ აქცევდა ყურადღებას.

მჭედლის სიმღერა.

„ტაკი-ტუკი“... ვჭედოთ, ვჭედოთ,
გამოვჭედოთ საიმედოთ!
შენ დაჰბერე ისევ ქურას,
სხვას ნუ სჩივი, ძმაო, ნურას!

მისთვის გვაქვს ეს გრდემლი, ურო,—
რკინა უნდა გაგვიხურო.
„დაგი-დუგი“... „ტაკი-ტუკი“...
მწყობრათ ვსცემოთ უროს თუ კი,
რკინა ისე გაიჭედოს,
რომ ის ვერვინ ვერ მოჰღვედოს.

„ტაკი-ტუკი“... ნელა, ნელა,
ცემამ რკინა გაგვითხელა.
სანამ სითბო არ გაუშოს
შანთი უნდა მოიკუმშოს.
„ტაკი-ტუკი“... „დაგი-დუგი“...
შავ ჯოჯოხეთს ქვეყნის ურგი.

ჩვენ გავსჭედეთ ერთხელ რკინა.
რაა? რატომ გაგეცინა?!
იგი იყო მჭრელი ხმალი,
მოციალე, როგორც რვალი,
ის მტერს მკერდში განეწონა,
ჭრა მსხვერპლმაც კი მოუწონა...
მსგავსი კიდევ რომ გავსჭედოთ,
სამერმისო-საიმედოთ,
გაგვეთქმება მთლად სახელი.
აბა, ურო, ჩაქუჩს ხელი!
„ტაკი-ტუკი“... „დაგი-დუგი“...
პირშავ მეწყერს ქვეყნის ურგი!

ჩვენ გავსჭედეთ ერთხელ დანა,
ვის უნახავს იმისთანა!
მაგრამ წახდა ამაგი ის:
ძმამ-ძმის გულზე მიიტანა.
აღარ გავსჭედთ აწი მსგავსსა,
მით არ მოვსდებთ სახელს ხავსსა.

ჩვენ გავსჭედეთ ერთხელ ხუნდი...
ისევ ქურას მიუბრუნდი,
თორემ გულში შხამი ჩამწვდა,
სევდის მომხვდა შუბლს ბინდ-ბუნდი,
აღარ ძალმიძს ეხლა ჭედა;
ის კრული დრო გამახსენდა...

ახლა ისევ ხმალი ვჭედოთ,
გამოვჭედოთ საიმედოთ.
„დაგი-დუგი“... „ტაკი-ტუკი“...

სულს მიტკბობს ეგ რაკა-რუკი.
მკერდზე ოფლი, პირზე მური,
რკინა არის განახური.
ამ ცხოვრებას ყველამ თვის რიგ
უნდა დასდოს სამსახური!
„ტაკი-ტუკი“... „დაგი-დუგი“...
შავმთის ნაპრალს ქვეყნის ურგი!..

ნ. ზომლეთელი.

ეშმაკის კალენდარი.

(მ ა რ ტ ი)

არა ერთგზის გამოთქმულა აზრი შესახებ მარტის ცვალებადობისა. მართლაც გასაოცარია ამ გიჟი თვის დაუდგრომელი ბუნება. დღე მისი დღე არა გავს, კვირე კვირეს, საათი საათს. დაუსრულეს ბელი სხვადასხვაობა, მრავალფეროობა, ცვლებადობს უცვლელი რჩება მხოლოდ ჩვენი ცხოვრება.

—

აღმოსავლეთით, ცის დასალიერს, ყვითელი ღრუბელი ამოაწვება. მისი დრაკონისებური სახე, პატარა ცბიერი თვალებით, ხარბათ გადმოხედავს დასავლეთს. ღრუბელი ნელ-ნელ გაიზრდება, ზეცას ჩამოაბნელებს, მზის სხივებს დაახშობს, და შეიძლება მარტის დამლევს ცეცხლის წვიმებით დამდულროს გზა, სადაც მას გავლა მოუხდება. საშიშარია მოლოდინი მისი მრისხანებისა.

პირ-ბასრი ცელი შავი ჟამისა ურცხვად გადმოლახავს ჩინეთის კედლებს, და სწრაფი ნაბიჯით მოადგება ჩვენს ქვეყანას, სადა „სამკალი დიდ არს, ხოლო მომკალნი მცირედ არიან.“

შავი ჟამი *) რუსეთის ცხოვრებისა უხვად დაამზადებს საზრდოს მისი ერთგული ვირთხებისათვის.

რუსეთის უნივერსტეტებში შესწყდება მოძრაობა.... პოლიციელებისა.....

—

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სულ მცირე, უმნიშვნელო ცვლილება მოხდება:

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მოახერხებს კვლავ ერთი მორიგი კრების გამართვას, რომელზედაც დაადგენს ამ სასწაულის (ე. ი. შეკრების) გამო პარაკლისი გადაიხადონ.

სახალხო უნივერსტეტის წევრთა კრება შეკრებასაც ვერ მოახერხებს. რადგან. . . . . .

კავკასიის უნივერსტეტის საკითხს საბოლოოთ განიხილავს და თავის მსჯავრს დასდებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა.

კავკასიისათვის განზრახულ ერობას რუსეთის დასავლეთ გუბერნიებში შემოიღებენ.

ის დაუსრულებელი შუღლი „სახალხო გაზეთსა“ და „თემს“ შორის, სამედიატორო სასამართლოს გადაეცემა, რომელიც გამოიტანს ამგვარ რეზოლუციას.

ვიღებთ რა მხედველობაში სხვა და სხვა გარემოებათ, ვაცხადებთ, რომ, „სახალხო გაზეთთან“ დამოკიდებულებაში „თემი“ მართალია, ხოლო წინაშე გაზ. „თემისა“ „სახალხო გაზეთის“ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის.

ქართული ლექსიკონის შემდგენი კომისია გადასწყვეტს: გამწვავებული პოლემიკის მოსასპობათ შეეკითხოს ისეთ კომპენტენტურ პირს, როგორიც არის თვით ავტორი ლექსიკონსა ჩუბინაშვილი. ცნობა შეკითხვის შესახებ ჩუბინაშვილს გადაეცემა ერთ-ერთი ქართული გაზეთის საშვალებით, რომელს ეს გზა მაინც იქით უჭირავს.

—— გაზთ „სინათლეში“ ბ-ნი როსტომაშვილი მოათავსებს ამგვარ განცხადებას: „ორ-კაპიკიანი გაზეთი „სინათლე“, ქართული მწერლობის ასაყვავებლათ იღებს დასაბეჭდათ ლექსებს უახალგაზრდავესი (არა უდიდეს 7 წლისა) მწერლებისას. სტრიქონი პირველ გვერდზე ეღირება ორი კაპიკი. უკანასკნელზე კი ერთი მრგვალი კაპეიკი. ისწრაფეთ, ვისაც გული შეგტკივათ მამულის კეთილ-დღეობისათვის.“

ერთი კვირის განმავლობაში „სინათლის რედაქციას მოუვა დასაბეჭდათ 1) ტიტე ართმელაძისაგან 7870,536 სტრიქონი პუბლიცისტური წერილებისა, ღირებული 14000,000 კაპეიკათ. 2) პოეტი მაკალა თიასაგან ლექსები და პოემები 2108,967 სტრიქონი, ღირებული 200,000 კაპეიკათ. 3) იასე რაჭველისაგან, 280001 სტრიქონი „ისტორია „გეორგიის“ საზოგადოებისა“ (სამეცნიერო წერილი) ღირებული 4.000. 121 კაპეიკათ. 4) ლავრინტი წერეთლისაგან 2650 სტრ. მოთხრობის: „როგორ გავები ეშმაკის მახეში“. ღირებული 52901 კაპ. გარდა ამისა ივანე როსტომაშვილი მიიღებს აგრეთვე ბ-ნი ი. რ. საგან ძველ ხელნაწერს, ზომით სულ ცოტა ვიანგარიშოთ 1234567890 სტრიქონს, ღირებულს 9676543210 კაპეიკათ, დაწერილს შესახებ თელავის სამარხი და საქორწილო კასებისა.

მარტის უკანასკნელ რიცხვებში დამსახურებული ქართველი მსახიობი, კოტე მესხი, თავისი საი-

*) უცაბედათ კორექტურული შეცდომა შეგვეპარა, რამეთუ ჟამის ალაგას, ჯერ არს იგულისხმოთ „ღუმ“.

უბილეო რაზმის მობილიზაციის გამოაცხადებს. აღლუმები ადგილობრივ მოხდება.

—

P. S. ისეთ წვრილმან ცვლილებათა შესახებ მოხსენება, როგორიც არის განცხადება ბ-ნ არჩილ ჯორჯაძისა, სადაც იგი საჯაროთ ამბობს: არ ვეთანხმები „სახალხო გაზეთის“ ტრაბახს ქართული ენის ღრმა ცოდნაშიო, ჯერ ნაადრევათ მიგვაჩნია. ვსნიცის, როდესაც ბ-ნი ჯორჯაძე ახლო გაეცნობი „სახალხო ენას“ თუნდაც მიცვალებულთა გარეცხის „შესახებ, შეიძლება აზრი კვლავ გამოიცვალ-ო ეს მით უმეტეს რომ აღნიშნულ მწერალს არა ერთი და ორი უფრო ღრმა ცვლილებანი განუცდია. ყოველ შემთხვევაში, ამაზე შემდეგ მოგახსენებთ.

ეშმაკი.

დარიგება.

მოესურვა შემძლო გლეხ კაცს
თოხარიკი ცხენის ყოლა
და, იყიდა ერთი კვიცი.
(სახედარი კვიცის ტოლა.)
მოიყვანა, მოუარა,
მისცა ქერი, ჩალა, თივა.
საგანგებოდ იურვებდა,
გაზამთრა, აპატივა.
და გაზაფხულს ზაფხულამდის
როს მიუკლდა ერთი კვირა,
გამოსინჯა გლეხმა კვიცი
და გახედნა დაუპირა.
მოიტანა უნაგირი,
წამოადგა და ალაგმა,
სცადა, შეჯდა, მარა კვიცმა
გადმოაგდო, სდვა გულ აღმა.
წამოდგა და გაბედულათ
კვიცს მოაჯდა როგორც ტრია,
მარა კვიცმა კიდევ დასცა,
ლამის თეძო მოამტვრია.
შეჯდა კიდევ გადმოაგდო.....
გადმოაგდო, კიდევ შეჯდა.....
ერთი სიტყვით, სანამ კვიცი
იმას კარგათ არ დაეჭედა,
არ მოეხსნა .... მარა კვიცმა,
აიღო ეს ზნეთ და წესად,
რომ პატრონი იმან ზურგზე
არ შეისვას აღას ქესად.
მე'შარიამ უთხრა: „ძმაო,
რას ჩადიხარ, მიკვირს ესო,
თავს რად აკლავ საწყალკავეს,
ემაგ სამგლეს, მაგ ოხერსო!
როგორცა სჩანს, მაგის ხედნა
ფათერაკი, მარცხიაო,
და არც თოხარიკის რამე,
მას, მერწმუნე, არ სცხიაო.
ცხენის ყოლა თუ გინდოდა,
კარგი თოხირიკისაო,
ჯიში უნდა მოგეძებნა
მისი მოდგმის, რიგისაო.
დაეხსენი, მაგის ყოლას,
საქმეს ცუდათ გაგიხდისო,
თავ'ში უნდა გცოდნებოდა,
კვიცი ჯიშზე დადის, ხტისო.
ერთსაც გეტყვი: დამიჯერე,
დავუმატებ ზედ ამასო,
რომ შვილიდან მას ელოდე,
რაც რამ ექნას დედ-მამასო.“

ა. ბლიკვაძე.

სამგლოვიარო

დეპეშები.

ახალქალაქი, ადგილობრივ სამკითხველოში საზარელი ამბაკი დატრიალდა: შემთხვევით შესულ 14 წლის ბავშვს თავს დაესხენ დამშეული ვირთაგვები და საშინლათ დაგლიჯეს. ეს იმ დაუდეგრობის ბრალია, რომ სამკითხველოში ვირთაგვების დასახრაკათ ერთი წიგნიც არ მოიპოვება და მშიერი ხალხი რას არ იზამს. თუ ამ ორ სამ კვირეში ბავშვს ექიმმა მოუსწრო, შეიძლება სიკვდილს გადარჩეს საბრალო მსხვერპლი ჩვენებური დაუდეგრობისა.

თელავი. „პროვოდნიკის“ ფირმისაგან ქების ფურცელი მოუვიდა ადგილობრივ საკრებულო დარბაზს, რადგან იქ ამ ორ კვირეში გასაღდა უკვე 606 წყვილი კალოში აღნიშნული ფირმისა. მიუხედავათ ამისა, საკრებულო დარბაზის მამასახლისებს სამ-სამი თვით ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს.

ხონი. ადგილობრივ სამკითხველოს, გაცვე-

ბის გამო ინფლუენცია დაემართა: ამბობენ, შეიძლება ეს სენი გართულდეს და უფულენციათ გადა იქცესო. მოსალოდნელი ყველაფერია, მხოლოდ დროა საჭირო. სრული იმედი აქვთ, რომ მაისის დამლევ რიცხვებში ასეთი სიცივე აღარ იქნება სამკითხველოს დარბაზში.

ჭიათურა. აუცილებელი საფრთხე მოელის შორაპნის მაზრის იმ დაბა სოფლებს, რომლებიც ეშმაკთა განგებით ჭიათურის დაბლა მდებარეობენ. როგორც მოგეხსენებათ, მდინარე ყვირილა დღითიდღე შრება და სულ ახლო მომავალში შეიძლება თავისი კალაპოტის ალაგას მოკენჭული შარა გზდასტოვოს. ეს ვერაფერი სასარგებლო იქნება აღნიშნული დაბა-სოფლებისათვის და ამიტომ საჭიროა,ა მიღებულ იქნას ენერგიული ზომები, რომ ჭიათურელი მოვაჭრენი ნავთში ამდენ წყალს არ ურევდენ. ჩვენი აზრით ეს არის უმთავრესი მიზეზი მდინარის შეშრობისა.

ჯაშუში და კაცის მკვლელი.

(მიბაძვა)

„ჯოჯხეთის კარზე მიდგა
აერთხელ... ცილის მწამებელი“?!
რა... ის სხვა ვინმე გახდათ,
ენის სხვარიგ მხმარებელი!
თვისი აზრით, ის სიმართლეს
მსახურებდა უეჭველათ,
ნამდვილათ კი ითვლებოდა
სიმართლის მთქმელთ გამცემელათ.
ჩუმათ, ღამით დადიოდა,
შეაღებდა ფრთხილათ კარებს,
სიტყვით, საქმით, მოძმეს თვალით
ადინებდა ცრემლის ღვარებს.
ჯერი მიდგა და ჯოჯოხეთს
ის ესტუმრა, ღვაწლ-მოსილი
და სამუდმო სამყოფელათ
ადგილს სთხოვდა ბნელეთს შვილი,
მაგრამ ამ დროს საიდგანღაც
გაჩნდა უცებ კაცის მკვლელი
და ქვეყნად კაცთ გამცემელსა
საყელოში სტაცა ნელი.

-„ჯერ მე შევალ!“.—„არა მეო“...
მოუვიდათ ომი ცხელი:
აქეთ კაცის მკვლელი ცხარობს,
იქით იწევს გამცემელი.
ტარტაროზმა გამოხედა
და ორივეს მოახსენა:
„რა თავს იგდებთ, თქვე ოხრებო,
რომ წაიღეთ ყურთა სმენა?
კაცის მკვლელო! შენ რას ცხარობ,
იმ ქვეყნათ და აქაც მხეცო,
კარზე რომ სხვას ეცილები,
აღარ მკითხავ ცოტას მეცო?!
მართალია შენ იმ ქვეყნათ
სხვისი სისხლი ბევრი ღვარე
ზოგს ხმალზე წამოაგე,
ზოგთ გულს დანა გაუტარე,
ამგრამ სხვაა გამცემელი,
ხვა მოსაქმე, სხვა ძუშაკი,
და პირველათ ეგ შემოვა,
აღარ უნდა ლაპარაკი.
შენ ხომ იმავ ქვეყნათ დაგრჩა
შენი ხმალი, შენი დანა,
მან კი თვისი იარაღი
ჯოჯოხეთშიც მოიტანა!!..“

—

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა,
საქმეს იზამს სასაცილოს,
რომ გამცემელს კაცისმკვლელი
ღირსებაში შეეცილოს!..

ონისიმე.

ნიკო და სიკო

(ცენისებური)

სიკო. მოყვარეე, თქვენში რაამბავია?
ნიკო. —ოჰ ჰმაო,რაღა საკითხავია!
თოვლის ზარალი იმოდონია,
რომ კრილოვის დროც მონაგონია.
სიკო. სხვა? ლანჩხუთში ხომ არვინ მიზეზობს?
ძველ პოლიციელთ ახლები ხომ სჯობს?
ნიკო. რაგითხრა, ჩვენთან ან რა საქმე აქვთ,
ის არა, თითონ თავიც ვერ გააქვთ...
სიკო. როგორ თუ თავი? ნეტავ რას ნიშნავს?
ნიკო. ეშმაკმა უწყის, ვინ ვის რათ ნიშნავს...
დღეს ერთ „სტარშინას“ ხედავ მბდღვინავსა,
ხვალ კი, კუდ მომწვარს, გზა-გზა მგმინავსა...

ხედავ, რომ ერთ დღეს პეტრე მოსულა,
ბჭყვრიალა ჯაჭვით გადაპრუწულა;
რაჟდენ „ზაპასი“ შორით შეჰყურებს,
ულვაშებს იკვნეტს, ძირს უშვებს ყურებს,
მარა შევხედოთ, გათენდა დილა,
პეტრე გამხდარა ვითარცა ლილა...
ოხრავს იძახის: „ჰეიგიდია!“.
ჯაჭვი კი, ვილაც ბეგსა ჰკიდია.
მირბის პეტრია გაჯავრებული.
ბრუნდება დილას გამარჯვებული!
გაფარშავანგდა, ხტის და კუნტრუშობს.
ჯაჭვი ყელზე აქვს, აბა რას შიშობს...
მარა ვინ ენდოს მაგ ცრუ სოფელსა?
მოუსვამს ისევ ჯაჭვს რაჟდენ ხელსა,
პეტრე კი გარბის კუდმომწვარივით,
ფერფეჟ დაყრილი მშიერ ყვავივით..
სჭექავს და გრგვინავს რაჟდენ ზაპასი,
ძლივს იგდო ხელში „შუბისა“ ფასი.
აჭარელ ბეგმა ჩამოურბინა
და თავი უკრა კარებში წინა.

სიკო. ჯადო ყოფილა ეს ჯაჭვი მგონი,
თორემ რატომ ჰყავს მოტრფე მაგდონი?
რომ ერთხელ რაკი შეებმებიან,
უსიკვდილოთა ვერ შორდებიან!!

ნ-კო—ჰეი, ძმავ, ჯადო ხალხის ქონია,
ჯაჭვიც ამისთვის მონაგონია.

—ა.

საიდუმლო

დეპეშები.

პეტერბურგი. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცვლილება აუცილებელი იყო, მაგრამ ამის შესახებ ერთობ ფრთხილად ლაპარაკობენ ჯერაც.

პატარძეული. ხალხში ამ მოვლენამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფუტკრები, სკებით, მოშრიგებელ შუამავალთან მიეიდნენ და მუხლ მოდრეკით სთხოვეს: არ გადააყენოთ საშსახურიდან ხალხის ძიერ ათვალწუნებული მწერალი ვ. არტუშკოვიო.

რკინის გზის თფილ. სახელ-სნო. ყველა ასე ფიქრობდა: მიზეზი ხელოსნის გულ-შეწუხებისა მაგარი სასმელი, ან მაგარი სიტყვა იქნებოდაო. აქ არა ერთი და ორი იმსხვერპლა ამ სენმა. გამოირკვა, რომ მიზეზი გულის შეწუხებისა უბრალო შიმშილი ყოფილა, შიმშილი გამოწვეული იმით, რომ შეგირდს თავის დროზე ხელოსნისათვის ჩაი არ აუდუღებია და არ მიურთმევია. გამოძიება სწარმოებს.

ხაშმი. ხაშმის მამასახლისი დამნაშავეთა აღმოჩენაში ახალს ხერხს წააწყდა. ცხადია, რომ დამნაშაევ მართლ-მსაჯულებას ყოველთვის გაურბის. ამგვარათ, ორ მოჩხუბართაგან ვინც ადრე იჩივლებს, მართალიც ის იქნება. როგორი უბრალო ხერხია და ჯერ ხაშმელ მამასახლისს გარდა არავის მოსვლია*) თავში.

სიმღერა

—:—

მე არ მიყვარს კაეშანი,
არც ნავარდი აღმა ცაზე;
სიყრმიდანვე მკერდ-შიშველი,
ვცურავ ჭირის ოფლის ზღვაზე!

—:—

მიძინებული ტანჯულთა ჯარს,
არწივივით თავს დავყივი;
მსურს აღუგზნო მიმქრალ გულში,
ღვთაებრივი ბრძოლის სხივი!

—:—

ჰაუ! ჩემსკენ ზღვის შვილებო,
მომავლისკენ დავძრათ ნავი;
ტალღებს ტალღით მივეგებოთ,
ერთათ გავკრათ ნიჩბებს მკლავი!

გ. ქუჩიშვილი.

*) ყველა თავი ერთნაირ მოსავ ლს ხომ ვერ მოგვცემს?

ახალი „პაპაშა“ I გიმნაზიისა.

ახალი პაპა ეწვია
პირველსა გემნაზიასა;
თვალი დასთხარა „წითელ“ ვარდს,
„მტრედისფერ“ ტურფა იასა.
ურჩია შვილებს: ძვირფასნო,
ერიდეთ წითელ ფერებსო.
წითელ ყვავილებს გულზედა
ნურავინ გაიჩერებსო.
წითელი ცხვირსახოცები
არავინ დამანახოსო,
წითელ სახლს, წითელ ოთახებს
არ გაუაროთ ახლოსო.
წითელ კაბიან ქალებთან
არავის მოვკრა თვალიო,
არც წითელ ცხენზე მჯდომარე
ვიხილო დამავალიო.
წითელ ყდიანი წიგნები
ახლოს არ გაიკაროთო
წითელი ნუნუასაგან
ფუფალამ დაგიფაროთო
კვერცხსაც ერიდეთ წითელსა,.
კარანდაშს, კალმის ტარსაო,
ეგ აღზრდის კანონებია
ვფიქრობ არ მეტყვით ვარსაო.

—

ახალთაობა უსმენდა
ამ დარიგების წყაროსა.
ფიცს სდებდა: „ვარდი წითელი
ახლოს არ გაიკაროსა,
ერიდოს წიგნსა, რვეულსა
წითელ ყდა გადაკრულებსა,
წითელ სახლს, წითელ ოთახებს
ქუჩებზე წამოდგმულებსა,
წითელ კაბიან ქალებსა,
წითელ ვაშლს, წითელ ღვინოსა.

—

რა დარჩენია პაპაშას:
დაჯდეს და მოილხინოსა.

—კი.

კეთილი რჩევა

ნუ მიენდობი ზეპირს ოცნებას
გულის ტკივილებს ვერ დაგისვენებს,
მოგატყუილებს ზღაპრებით გკვებავს,
არარაობის გზას გაგიყენებს.
ყური დაუგდე სინამდვილესა,
რაც თვალწინ გიდგას, მართალს გიჩვენებს...
ყოფნის სიძნელე სიადვილესა
არ დაგიმალავს, წინ დაგიყენებს.
თუ მის გარჩევას არ შეეცდება
ამისთვის ნურვინ ნუ შეიძულებს,
ვინც არ მოუსმენს, საბრალოთ ხდება
ის უსამართლოთ არ გაიძულებს.

*
* *

საერთოთ ზრუნავს სულგრძელი დედა
ძულს მას ალერსი და ცბიერება,
თუ თავის ერთგულს მტლათ დაედება
აქ არც ცოდვაა, არც ძლიერება.
სრულათ გაშალა მან თავის გული,
სარკე ალმზრდელი სიყვარულისა,
სინამდვილეა იქ დახატული
და არა მცნება დაფარულისა,
მაგრამ ვერ ხედავ, ყველა ერთგვარათ
გაურბის იმის გაბედულს ზრუნვას,
სძლევს, ეზმანება რისხვისა ზარათ
მისდევს ორჭოფი ფიქრების ბრუნვას.

*
* *

რაც ჩვენ გვაკლია: აქვს და ჰქონია
სინამდვილეში მუდამ ადვილი,
შენ-კი სხვა რიგათ რათა გგონია?
ვერ გაირჩიე მწარე და ტკბილი?
მარტო ოცნება მრუდათ მრიცხველობს
არარაობამ ბევრს მოსჭრა კბილი,
შენ ის იკითხე რაც შენთვის ძნელობს,
სხვისთვის, რათ არის ასე ადვილი?!

ვ. ტუქსიშვილი.

„კანონმდებელი“



ხუმარა ბიჭმა, პორიშკევიჩმა
ჭკუა გონებით მრჩობელ გასაგიჟმა,
ხშირ მობაასემ დუმის ტრიბუნით,
ქვეყნიერებას აუწყა მუნით:
რომ სახელმწიფოს მსახურთა პირებს,
მისებრ დიდებულთ, მისებრ გონივრებს,
ვით ხელ-უხლებელ მამულის გმირებს,
ვერ უბედავდენ, ხოლო, სატირებს,

პატარა ამბავი

(სალიტერატურო სადამოს გამმართველთა საყურადღებოთ)

დიდი თოვლიანობის ჟამს თფილისისაკენ მომიხდა გამგზავრება. კოპიტნარის სადგურს რომ გავ-ცილდი, ჩემთან მოვიდა მაღალ-მაღალი, გრძელ ქალარა-წვეროსანი, ევროპიულად ჩაცმული კაცი, და გამეცნო.

—თქვენ, ალბათ, ყმაწვილო, მიბრძანდებით, სალიტერატურო საღამოზე ლექსის წასაკითხავად?.. მკითხა მან. მე ვუთხარი სადაც მივდიოდი.

—როგორ!..—გაიკვირვა მან,—თქვენ ხომ ბ-ნი ნარგიზ ენძელაძე ბრძანდებით. მე მახსოვს, რომ თქენ სადღაც ერთი-ორი ლექსი უნდა გქონ დეთ დაბეჭდილი. რათ არ მოგიწვიეს?!..

— თქვენ ცდებით, ბატონო,—მივუგე მე —მე ზამბახ იაძე გახლავართ და არა ნარგიზ ენძელაძე. ლექსებს არა ვწერ. არც პროზას.

— ეგ სულ ერთია,—თქვა მან,—იაძე ხართ-თუ ენძელაძე, ეს სულერთია! შე კაცო,—საყვედუ, რის კილოთი მომმართა მან,—რა გიჭირდა ერთი ლექსი დაგეწერა, საღამოზე მოგიწვევდენ და პოეტ-თა შორის ჩაიწერებოდი.

—ნუ თუ?!—გავიკვირე მე და გულში ძალიან ვინანე, რომ ერთი ლექსი არ დავწერე, იქნებ მარ-თლა ჩავწერილიყავი პოეტთა რიცხვში.

—დიახ, დიახ!..მხოლოდ ერთი ლექსი, ერთად ერთი!... ვინ იცის—მაშინ იქნებ ლექციაც კი წაე-კითხათ შენზე.

მომაგონდა, რომ ერთხელ მართლა დავწერე ერთი ლექსი, სატრფოს მივწერე, მარა საუბედუ-როთ ერთი კუპლეტის მეტი არ იქნა და არა... ვერ მოვიგონე.

—კაცო, მაქვს ერთი ლექსი დაწერილი, მარა ერთი კუპლეტის მეტი არ მახსოვს,—ვუთხარი მე.

—აბა თქვი!.. თქვი თუ ძმა ხარ!.. და მეც ვთქვი:

„სატრფო ჩემო საყვარელო,
გულზე მდუღარის გადამსხმელო,
შენ გულში შემიკეთე უშველებელი,
და აბა იგი რაფერ გავანელო!.“

მეტი არ მხსოვს, გულმოკლულად ვუთხარი ჩემს. ახლად გაცნობილს ძალიან მოეწონა ეს ლექსი და დამიწყო მტკიცება, რომ ესეც საკმარისია პოეტის ხარისხის მისაღებათ და ქუთაისში წასაკითხავად.

—წამოდი თუ ძმა ხარ ქუთაისში,—მითხრა მან, —წაიკითხე ეს ლექსი; მე დარწმუნებული ვარ ყველას მოეწონება.

არ დავეთანხმე.

—თქვენ განა ქუთაისში მიდიხართ? — შევეკით-ხე მე.

—დიახ, მივდივარ და მიმაქვს „ხბოს ლექსი“ წასაკითხავად. გაზეთებში ამოვიკითხე: „ქუთაისში ახალგაზდა პოეტებს იწვევენ ლექსების წასაკითხა-ვადო, ამასა და ამასაო და ამოვიკითხე სხვათა შორის ერთი ჩემი კარგი ნაცნობის ფსევდონიმი, რომელსაც ბარე ოთხი-ხუთი ლექსი დაუწერია და ვიფიქრე: თუ ამას იწვევენ, მე ვის რა ვირი მოვპარე, მეც მა-ქვს დაწერილი „ხბოს ლექსი„ და მეც წავალ, წავი-კითხავ, პოეტებში ჩავეწერები მეთქი. მართალია ახალ-გაზრდა არა ვარ,მარა ახალგაზდა პოეტებს ხომ ხნო-ვანობით არ საზღვრავენ, ვისაც ბარე ორი-სამი ლექსი დაუწერია, ის ახალგაზრდა პოეტად ითვლება თუნდ ხნოვანებით ბებია ჩემის ხნის იყოს.

და ამის შემდეგ მომიყვა მან მისი „ხბოს ლექ-ის ისტორია. ყოლია მას ძმა დიმიტრი და იმ დი-იტრის ხბო მიუძღვნია თავის მონათლულისათვის. დიმიტრის ლექსის წერა არ ცოდნია და ჩემს ახალ-ნაცნობისათვის მოუნდვია დაეწერა იმ ხბოს ლექსი. ამასაც დაეწერა და როი წაიკითხა გაზეთებში ქუთა-ისში ახალგაზდა პოეტებს იწვევენ ლექსების წასაკი-თხათო, გამოენეხა ქალალდებში თავისი „ხბოს ლექ-სი“ გამგზავრებულიყო ქუთაისისკენ.

—შენ ნუ მომიკვდე, ისე რიხიანად წავიკითხავ ამ ჩემს „ხბოს ლექსს“,რომ შენ მოსაწონად. . გინდა ახლავე წაგიკითხავ!.. და წამიკითხა შემ-დეგი:

ხბოს ლექსი

ახლა მინდა შეგაბრალო
თავი ჩემი უბედური,
რადგან ხბოთ ვარ გაჩენილი,
ჩემს ბედს ამიტომ ვემდური.

—

უბედურად დავიბადე
მე საწყალი, განაწირი,
დიმიტრის ხელთ ვიტანჯე,
ბევრი მქონდა გასაჭირი.

—

გინება და ლანძღვა ბევრი,
ჯოხი წელზედ, მუნი, ჭირი,
გავიზარდე სიმწუხარით,
დამამტვრია ცხვირი, პირი.

ახლა შენთან მაგზავნიან,
მონათლულთან დიმიტრისა,
რა მომელის—აღარ ვიცი,
დედა ჩემი დამტირისა

—

მაგრამ იმედს არა ვკარგავ,
მშენ ხარ კაცი დინჯი, ქველი
მე საწყალი შებრალებას
შენგან უფრო მეტს მოველი

—

თავის მოვლის ნიჭი ჩემთვი
იცით ღმერთს არ მოუცია,
ბოლო რომ გლახა მომელის,
ამას არ უნდა ფიცია.

—

ბევრს ვერ ვცხოვრობ, კარგად იცით,
სულ ცხრაი, თუ ათი წელი,
ათს წელს მერე მე საწყალი
ყოველ წამში სიკვდილს ველი

—

გამოტყდები, მე შემემთხვა,
ერთმეტს ივნისს ერთი ბელა:
ერთს ალაგს რომ საჭმელს ვძოვდ
თქ მოგროვდა კურო ყველა....

—

და ამის შემდეგ ჩამარგალიტებულია ლექსად ხბოს დაქორწინებისა და მშობიარეობის ამბავი

ჩაათავა ლექსის კითხვა ჩემმა ასულმა ნაცნობმა და თავმოწონედ მკითხა.

— ხომ კარგია? .

— კარგია!..

— ჰო, კარგია და მივდივარ ქუთაისში სალიტერატურო საღამოზე წასაკითხავად!..

ბევრი მეხვეწა მეც წავყოლოდი და წამეკითხა იქ ჩემი ლექსის ერთი კუპლეტი; წავყვებოდი, მარა ძალიან მიმეჩქარებოდა თფილისისაკენ და მისი თხოვნა და ჩემი სურვილი შეუსრულებელი დამირჩა.

რიონის სადგურზე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. ამის შემდეგ ვერ გავიგე წაიკითხა თუ არა ჩემმა ნაცნობმა ქუთაისის სალიტერატურო საღამოზე მისი „ხბოს ლექსი“ და თუ წაიკითხა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ლექსმა საზოგადოებაზე. *)

იაძე.

*) ეს ლექსი წაკითხულ იქმნა საღამოზე, მაგრამ არავინ არ დაიჯერა, რომ ხბოს ლექსი იყო. ხალხი დაჟინებით გაიძახოდა: „ამას ხბო ვერასოდეს ვერ მოახერხებდა... უკიდურეს შემთხვევაში ძ ოხა მანიც უნდა ყოფილყო იმისი ავტორიო.“ როგორც ხელავთ აზრი საპატიოა.

ეშმაკი.

ქალაქში

—:—

მკრთალი სხივები ბადრი მთვარისა
სერზე გადამდგარს დამფარფატებენ,
ხომლათ ჩაბმულნი ვარსკვლავ ცთომილნი,
თვალთა თუკჟუკით თვისკენ მიწვევენ.

—

ფირუზ ტალღებში ლაღათ მცურავი
სირთ მაყრიონი მეფსალმუნება,
ბორც-ბექობიდან ჩამონაკადი
კისკის-ტიტინით მესალბუნება.

—

ჩუ! ქალაქიდან მომესმა მღერა
ახალ ჰიმნებით აზვირთებული,
მასში გაისმის გულისა ძგერა
ავბედის დანთქმას მოწყურებული.

—

უტკბილესია ჩემთვის ის ხმები,
სმენას ადნება ნელ-საკმეველათ;
ჯადოსნურ ძალით ოცნებას მტაცებს
მიხდის მოსარგეთ-ერთგულ მფარველათ.

—

მეც მივქრი მისკენ .. ვანებებ თავსა
ყვავილათ ფურჩქვნილ სხივთ თაიგულებს,
შემოქმედების სარკე ბუნება
განა ქიშაყბრ მე მიერთგულებს?

—

არა, ის უფრო დიდებულია,
საქვეყნო ბედი იქ იჭედება,
იქა შენდება ტაძარი, რასაც
ილოცავს თვითონ ხომლის მშვენება.

დ. თორდოსპირელი.

პოლიტიკური
დეპეშები.

ნაოლალევი. ამბობენ, ადგილობრივმა დავითაიამ, *) ამ დღეებში ერთი ხაჭაპური დაატუსაღა და ცხელ ქვეყანაში გადასახლებას უპირებსო. დატუსაღებას პოლიტიკური სარჩული აქვს.

მათხოჯი. ახლო მომავალში, მათხოჯის სამკითხველო ჯვარს იწერს ღანირის ბიბლიოთეკაზე. შაფერათ ხონის სამკითხველოს ასახელებენ. გარეშე

*) დავითაია მეგრული სიტყვაა ქართულად კი ბოქაულს უნდა ნიშნავდეს.

ხალხი აქაც დიდს პოლიტიკურ მოსაზრებას ხედავს. **)

ხონი. ჩვენი ბაზრის ღორებში შეგნება თანდათან იზრდება. დღეს ისინი დაჟინებით მოითხოვენ უფლებებით გ თანასწორებულ იქმენ ბულვარში და ქუჩებში სეირნობის დროს, არა თუ უბრალო მოქალაქეებთან, არამედ თვით სტრაჟნიკებთანაც. ***)

სამტრედია. ადგილობრივი წრე „ვახშმისტებისა“ ბ-ნ ფიალკოვსკისა და კალანდარაშვილის თავმჯდომარეობით, ახლო მომავალში გამართავს დიდ პოლიტიკურ ნადიმს, რომელზედაც მიწვეულ იქნებიან როგორც „მალეკინსტთა“ წარმომადგენელნი, აგრეთვე ადგილობრივი დეპოს „გამოცდილი“ მუშები. აქ გადასწყდება საბოლოოთ: შეერთდეს ეგ ორი საზოგადოებრივი ჯგუფი, თუ ცალ-ცალკე, დაქსაქსულად იარსებონ.

ჭიათურა რკინის გზის ლიანდაგის უფროსმა მუშამ—თ. მუძლაძემ ბ-ნ დათებოვს შიფრიანი წერილი მისწერა: „ხიდა მზად არის, მხოლოდ აუცილებლად თხოულობს **სამ** ალაგას ბანქანის განწმენდასო“. როგორც გავიგეთ ბ-ნ დათებოვს აუხსნია ეს წერილი და უპასუხნია; „არაფერია, თუნდაც **ოთხ** ალაგას უნდოდესო“. ხალხი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი, რადგან ვერ გაუგია რას ნიშნავს ეგ „ქაჯური ენა“ და რისთვის წუხს ბ-ნი მუმლაძე **სამი** ადგილი რომ მისწერა და არა მეტი. ცხადია, აქაც დიდი პოლიტიკური სარჩული იფარება და თუ არ ამჟღავნებენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინეთი მანჯურიის საზღვრებზე ჯარს უყრის თავს.

საგანგებო მოხსენება

ჭიათურიდან

როგორც დეპეშით გატყობინებდით, ჭიათურის ეშმაკთა საბჭოს დავალებით, გამომძიებელი კომისია გაიგზავნა ჭიქაურაში, 10 თებერვალს ბ. კ. ესაიაშვილსა და მუშებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გამოსარკვევათ. გამოძიება ერთობ გაგრძელდა. მუშებთან მოსალაპარაკებლათ მისვლას მოვერიდეთ. ვინ იცის, ეშმაკს თვალით არ უჩანს, პროგაგანდისტი არავის ვეგონოთ და ერთ ხათას არ გადაგვიდონთქო.: ბ. ესაიაშვილი კი, შინ არ დაგვიხდა, რომ მისთვის გამომეკითხა ყოველივე. ის ინჟ. დრინანთან წასულიყო, „ეშმაკის მახის“ და მისი კორესპონდენტის „უზრდელობაზე“ მოხსენების გასაკეთებლათ... მეტი გზა აღარ იყო, მეც ბ. დრინანისკენ გავეშურე. უკანასკნელი, ერთი ადმინისტრატორთაგანია და შეიძლება მან იცოდეს საქმის გარემოება მეთქი, მაგრამ აგშორდა წ—ძის რისხვა... გ. ამილახვარის რაზმის მათრახი, მე აქაც საქმეს დავშორდი... ბ. დრინანი ძლიერ აეღელვებია „ეშმაკის მახეში“, (№ 8) მოთავსებულ დეპეშას, რისგამოც ფეხების ბაკუნითა და მუშტების ქნევით გაიძახოდა: „როგორ გაბედეს აქ,— ჩვენს ფირმაში გამომძიებელი კომისიის გამოგზავნა!.. ეს ხომ წარმოებას დასცემს?. მე ვაჩვენებ იმ „ეშმაკთა საბჭოათუ რღაცა, როგორ უნდა საქმის გამოძიება“ დაახვა... ჰო და აბა რაღა იქნებოდა? ფეხაკრეფით უკანვე გამოვბრუნდით.

სხვა დაბრკოლებანიც მრავალი იყო, მაგრამ ასე თუ ისე, ყოველივეს თავი დავახწიეთ და გამოძიება მაინც დავამთავრეთ, რამაც შემდეგი აღმოაჩინა:

ქვის მწმენდელ მუშებისთვის (მჩეკელებისათვის, ბ. ესაიაშვილის დავალებით ერთ ნოქარს წინადადება მიუცია, დანიშნულ დროზე ადრე გასულიყვენ სამუშაოზე. მუშებს კი, უარი განუცხადებიათ დანიშნულ დროზე, სამუშაოთ გასვლაზე და.. ასე გადაუცია ნოქარსაც მუშების პასუხი ბ. ესაიაშვილისათვის, მაგრამ მას მაინც რაღაც „გაფიცვა“ მოლანდებია (თუ გაფიცვას იგი მოლანდებია კარგათ ვერ გავიგეთ. და მუშების პასუხი გაუგია არა ისე, როგორც მოახსენეს – არამედ—როგორც თვითონ მას სურდა... და რაკი ბ. ესაიაშვილს ასე სურდა—4 ქვის მწმენდავი მუშაც სამსახურიდან ასე თუ ისე იმას უქნია...

გამომძიებელმა კომისიამ, ჯერჯერობით ამის მეტი ვერაფერი აღმოაჩინა. გამოძიება კიდევ გრძელდება.

კომისიის წევრი **მანსელიძე.**

**) მოსაზრება, მაინც დაინახოს, რადგან ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს ვერასოდეს ვერ ხედავ.

ეშმაკი.

***) აი რას ნიშნავს ძალა გაზაჯულისა! ბუნება იღვი ძებს, ხალხი ფ იზლდება!..

ᲛᲝᲛᲚᲘᲡᲬᲠ ᲑᲣᲓᲘᲡᲙᲔᲜ

ვ. მალაქიაშვილი

პიესა ოთხ მოქმედებათ
და ხუთ სურათად.

ᲒᲐᲛᲝᲚᲕᲚᲐ XI

(ვახტანგი, დიმიტრი, ნუნუ, ᲭᲣᲭᲣᲚᲐ და სოსო).

დიმიტ. ნუ დაგვივიწყებთ, ყმაწვილო (ხმები; ᲒᲣᲪᲓᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲪᲓᲔᲑᲘᲗ).

ვახტ. (სიცილით კერებიდან უძახის) ყმაწვილებო, თუ დაგავიწყდესთ, წერილი მოიწერეთ, წერილი: ადრესი ხომ იცით?

სოსო. (დგება) ნახვამდის... მეც ..

ნუნუ. თქვენც? როგორ შეიძლება! (რადაცას ანიშნებს სოსო დაიბნევა).

პეპ. რაზე იჩქარით? რა იყო?

სოსო. ისე...

დიმიტ. სოსო, შენთან საქმე მაქვს და ტოტა ხანს. (მოიცადეთ აჩვენებს ხელით).

სოსო. თუ ასეა მოვიცდი (ჯდება).

ნუნუ. მარტო დიმიტრის მხრით იცდით?! გვეცოდინება! (ცდილობს მარტო სოსოს გაიგონოს) ბედნიერია დიმიტრი! (სოსო ამ სიტყვებზე დნება).

დიმიტ. მეუღლე ჩემო!

პეპ. რა იყო?

დიმიტ. მამაჩემისაგან სოფლიდან წერილი დამხვდა რედაქციაში.

პეპ. რაო?

დიმიტ. მემდურის ძალიან. რათ არ ჩამოდი და არ მნახეო, მესაყვედურება... სხვასაც...

პეპ. სხვას რას გწერს?

დიმიტ. ღარიბათ ვარო, არ მეხმარებიო, ძალზე გაჯავრებულია ..

პეპ. ყვავს არ ქონდა ბუს გაქონდაო,“ ჩვენ რა გვაქვს ..

დიმიტ. დამნაშავე ვართ, დამნაშავე მის წინაშე .. თავის სიცოცხლეში მოსვენებას ვერ ეღირსა საწყალი, ჩემი იმედი ქონდა და მე...

(ᲭᲣᲭᲣᲚᲐ ᲡᲣᲧᲕᲔᲓᲣᲠᲘᲗ და თითქმის ზიზღითაც კი ივსება, როცა დიმიტრი მამას იბრალებს).

პეპ. (განზე) წინ წყალი, უკან მეწყერი... შუაში მისი თავი.

ვახტან. ეხ, ამხანაგო, მოხუცებს ნუ უყურებ .—დიმიტრი ეს მითხარი სადაა ის თქვენი ნათესავი ავათმყოფი ბიჭი?.. ვავსინჯო, რა სტკივა .. სახლისკენ მიმეჩქარება.

პეპ. აი ამ ოთახშია?.. დიდათ დაგვავალებთ... დიდათ...

დიმიტ. დამავალებ ჩემო ვახტანგ... აბა შემოდი.. (შედიან).

ᲒᲐᲛᲝᲚᲕᲚᲐ XII

(ნუნუ და სოსო).

ნუნუ. (გაბრწყინებული) შენი ლექსი წავიკითხე.

სოსო. (დარცხვენილი) მერმე?

ნუნუ. მშვენიერია, გამაგიჟებელია! მარა ერთი ეს მითხარი...

სოსო. (აწუწუდინებს) თუ ღმერთი გწამთ ნუნუ, ნურას მკითხავთ... ლექსის განმარტება ან ახსნა ეხლა მე არ შემიძლია... სწორეთ არ...

ნუნუ. რათა?

სოსო. ისე

ნუნუ. (გეკლუცოთ) მე რომ შეგეხვეწო.

სოსო რა საჭირო უნდა იყოს?

ნუნუ. შიგ გამოთქმული გრძნობები. .

სოსო. ნურას იტყვით, ნუ... გეხვეწებით.

ნუნუ. განა სიმართლეა ყველაფერი?

სოსო. არ ვიცი...

ნუნუ. ნუთუ იმას გრძნობთ ჩემდამი, რაც...

სოსო. (დარცხვენილი) ნუ მკითხავთ, ნუ... არ ვიცი...

ნუნუ. მაშ კარგი. როდის გკითხოთ?

სოსო როცა გენებოსთ, ეხლა კი არა .. არა. . არა... (ნუნუ კმაყოფილია, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაუყენა სოსო).

ნუნუ მე არ მეგონა თუ ასეთის ნარნარი გრძნობებით პატრონი იყავი..

სოსო ნურას იტყვით, თუ ღმერთი გწამთ. .

ᲒᲐᲛᲝᲚᲕᲚᲐ XIII

(იგინივე კატო და შემდეგ დიმიტრი).

კატო. (შემოდის დამფრთხალი ესალმება) ვახტანგი აქ არის თუ იცით?

ნუნუ. აქ არის, გნებავთ? (ზიზღით უცქერის).

კატო აბა მაჩვენეთ ..

დიმიტ. (შემოდის და ეხალმება კატოს) დაბრძანდით.

კატო. ვახტანგი თუ არის აქა?

დიმიტ. აქ. გახლავს. ბავშვს სინჯავს და ეხლავ გამოვა.

ნუნუ. მართლა, როგორ, არის?

დიმიტ. იმედს იძლევა.

სოსო. სიცხე რამდენი აქვს?

დიმიტ. არ მახსოვს.

ნუნუ. სულ ეხლა გაუზომეთ მე და პეპელამ და 38 იყო.

კატო. რითი არის ავათ? თუ ანთებაა, ვახტაგნი მაშინვე მოარჩენს... მშვენიერი ექიმია!..

გამოსვლა XIV

(იგივეა ვახტანგი და პეპელა).

ვახტ. რაკი ეხლა გაგიზომავთ სიცხე, ძალიან კარგი. . (ტოლს დაინახავს და წარბებს შეუშმუხნის. პატარა პაუზა) მე სახლში წავალ და ეხლავ წამლებ გამოვგზავნი, ან თვითონ მოვიტან. (ჩუმათ ტოლს) მომნახე? მალე კუდში!..

პეპ. როგორ გაგსაჯოთ ასეე.. ვახტანგ ჩვენი გულისათვის...

ვახტ. არა უშავს.. როგორ გეკადრებათ თქვენთვის თუ არ გავირჯები, აბა...

ნუნუ. როგორ ატყობთ, ვახტანგ, სნეულს?

ვახტ. არა უშავს, საშიში არაფერია... ეხლა კი წავალ და წამლებს გამოვგზავნი.

პეპ. ჩემი სიკვდილი! როგორ გაწვალებთ... როგორ?..

სოსო. მეც მეჩქარება და თუ დიდი რამე არაა...

დიმიტ. ხვალ ღილით აქ კრება გვექნება რე ფერატი ხომ იცი უნდა დაასრულო. ხვალ ათ საათზე მზათ უნდა გექნეს .. მართლა ვახტანგ, რაა რომ არ მოხველით კრებაზე?

ვახტ. არ მეცალა, ჩემო დიმიტრი, თორემ...

დიმიტ ისე გერასიმე, ვლადიმერი.. რაღაც ამ ბოლო დროს ..

ვახტ. იმათი არ ვიცი და მე კი საპატიო მიზეზთა გამო ვერ მოველი, (ტოლს) არ წავიდეთ!

დიმიტ. ხვალ მაინც უთუოდ.

ვახტ. თუ კიდევ რამე არ შემხვდა... (ტოლს ზიზღით) გაადგი ფეხი!

დიმიტ არ შეიძლება, მაგ არ იქნება! სოსო შენთან კიდევ მაქვს საქმე... მარა იყოს, იყოს, ისე საჩქარო არაა... (ბიდან. ნუნუ სოსოს სიყვარულით თითით ემუქრება. სოსო დაბნეული გადის).

გამოსვლა XV

(პეპელა, ნუნუ და დიმიტრი)

პეპ. როგორა სთქვი—კრება იქნება ხვალ?

დიმიტ. დიახ.

პეპ. სად?

დიმიტ. აქ.

პეპ. გადამიტანა ამდენმა კრებებმა!..

დიმიტ. რა იყო?

პეპ რა იყო და ის! მომძულდა თავი მეტი არა ვარ.., ლაყბობთ რაღაც უმნიშვნელოებზე.. პროფესიონალური კავშირებითო, კოოპერატივებიო...

დიმიტ. განა შენ თვითონ არ იცი პეპელა, რომ სხვა რამ შეუძლებელია? დღეს ისეთი დროა, სხვა რამის...

პეპ კმარა.. კმარა!...

დიმიტ. არაფერი მესმის!..

პეპ. ოხრდება აქაურობა, ფუჭდება... წეღან სტუმრებთან სირცხვილით კინაღამ დავიწვი!.. რას იფიქრებენ!..

დიმიტ. მაინც არაფერი მესმის.

პეპ. შენ არასოდეს არაფერი არ გესმის... დამტანჯე ადამიანი, მომკალი (ქვითინებს).

დიმიტ. (შეკრთება) პეპელა... (ნუნუს) ავათ ხომ არ არის?

ნუნუ. არ ვიცი.

დიმიტ აბა რაშია საქმე? რას გავს გ სიტვები!

ნუნუ. ალბათ ავათაა. (გადის).

გამოსვლა XIV

(პეპელა და დიმიტრი)

დიმიტ. (ერთხანს გაკვირვებულია) პეპელა... ჩემო პეპელა. რა მოგვიდა? (ეხვევა).

პეპ. (ტოტალი ეწინააღმდეგება) დამეთხოვე... დამეთხოვე... მომშორდი!..

დიმიტ. მითხარი, ავათ რომ არა ხარ?..

პეპ წეღან კინაღამ ვიტირე სტუმრებთან.

დიმიტ. რათა?

პეპ. მეორე სტაქნები რომ დაელიათ არც შაქარი მქონდა და არც პური (ქვითინებს).

დიმიტ. მერე რაა აქ სატირალი.

პეპ. რაა?!. ვახტანგი კიდევ უფასოთ ექიმობს! არაფერი გვაქვს რომ მივსცეთ.

დიმიტ. ისინი ხომ ჩვენი ამხანაგები არიან. მათ კარგათ იციან ჩვენი მდგომარეობა. ჩვენც კარგათ ვიცნობთ მათ... რა არის აქ ისეთი, რომ... ვახტანგიც ხომ ჩვენია...

პეპ. დავიტანჯე ადამიანო, მოვკვედი... ყურადღებას არ მაქცევ... (ქვითინს უმატებს).

დიმიტ. პეპელა, სიცოცხლევ, შენ ავათ მყავა ხარ... ავათ...

პეპ. მოსვენება მინდა, ავათ ვარ.. ავათ... ვათ! (ქვითინებს) არ შეიძლება აქ კრებები, არა!..

დიმიტ. (მეორე ოთახისკენ მიუყვს) კი გენაცვალე, კი დღეს სულ ცუდათ ხარ გატყობ, ალბათ გაცივდი... ეხლავ ექიმს მოგიყვან. დაწევი, გენაცვალე, დაწევი... აი, მართლაც სიცხე გაქვს, სულიკო, სიცხე... წამოდი... წამოდი .. (მიდიან) მოისვენე... მოისვენე... (ჰეპეჟა თითქმის სულ ქმარზეა ჩამოწოლილი, ქვითინებს).

ფარდა.



ბ. ტონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ ჟურნალ ,,ეშმაკის მახის“ № 7-ში ვიღაც ,,მკითხველი‘‘ ჭიათურიდან სიზმრისაღსნაზე მეხება მე, ღურგალს გლახუა კობახიძეს, ვითომც ხე-ტყის დაბრაკვაში ამელოს ქრთამი, რითაც ჩემს პირადობას, რასაკვირველია ამცირებს, რისთვისაც თქვენი ჟურნალის საშვალებით ვიწვევ საამხანაგო სამართალში. ჩემს მხრით ვნიშნავ მედიატორებათ: ვ. მელიქოვს და გ ნუცუბიძეს და დღიდან ამ წერილის დ ბეჭდისა ვადას ვაძლევ 15 დღეს. მედიატორეთა განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს ,,ეშმაკის მახეში‘‘.

გლახუ კობახიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

„ეშმაკის მახის“ ფურცლებზე ეღირსა ხსენებას აქაური დრამატიული, ვითომდა სნეული, ქართული წრე. სიმართლის აღსადგენათ მე ვნახე ხსენებული წრე და გამოირკვა შემდეგი: *) თითონ წრე არ არის დასნეულებული; ავათ არის მისი წევრი კნ. ხიმშიაშვილისა. საბედნიეროთ ექიმები მყისვე გამოჩნდენ წრიდან და მიართვეს კნეინას შემდეგი რჩევა: „თქვენი ძვირფასი ჯანმრთელობისათვის და წრის საკეთილდღეოთ უნდა უეჭველათ განთავისუფლდეთ წრისგან. ნუ მიაქცევთ ყურადღებას წრის ხვეწნა მუდარას. იცოდეთ თქვენი ჯანმრთელობა განსაცდელშია“ და ითხოვს იგი კრების მოწვევას“. ექიმების რეცეპტი არ იქმნა აღსრულებული ვისგანაც ჯერ იყო. იმის და მიუხედავათ, რომ წრის გამგეობამ დაადგინა არ განიხილონ კნ. ხიმშიაშვილის ავათ მყოფობის თვისებანი საზოგადო კრებაზე, ზოგიერთ ექიმთაგანს, რომელნიც ნებსით, თუ უნებლიეთ მოხვდენ ამ კრებაზე, მოექცნენ უმადურათ: დაუმსახურებლათ გალანძღეს..... ამის შემდეგ გამოდი ან ლმობიერი კრიტიკოსები, რომელნიც ამტყუნებენ ექიმებს „ჯერ კიდევ კრიტიკა-შეუჩვეველობაში“...

შიკ—რიკთაგანი.

1910 წ. 5 დეკემბერს დრამატიულ წრე ჰ ონდ. ს-ზოგადო კრება. დღიურ წესრიგში აღნიშნული იყო საკითხი ახალ წევრების მიღებაზე. ახალ წევრთ შორის განვითარებული მუშაკი, სალდათი იყო და იმ კრებ მდის იღებდა მონაწილეობას სცენაზე, თუმცა ჯერ წევრი არ იყო. ხსენებულ კრებაზე მოხდა ინციდენტი: კნ. ხიმშიაშვილისამ განაცხადა, რომ წრიდან გამოვა, თუ ის სალდათი მიღებული იქნება წრეში, რომ იმას (კნეინას) არ შეუძლია წარმოიდგინოს თავისი თავი სალდათთან სცენაზე მოთამაშე და რა დანახა, რომ ზოგიერთნი მის სიტყვებზე ძალიან აღშფოთდენ და მატა: ვაცხადებ „ამასთანავე რომ სალდათს ნება არა აქვს წევრი იყოს რომელ მე წრისაო“. ამას მოჰყვა ის რომ წევრებმა იქონიეს რა მ ედველობაში კნეინას არა სიმპატიური მოქმედება წრისთვის, გამოაცხადეს: კნეინასთან ერთად წრეში მუშაობა არა გვსურთო. **შ.**

Ე 1583
1911

ფოსტა.

ხონში. თითს. თქვენი ლექსა „გაზაფხული“, ჯერ ნაადრევათ მიგვიჩნია.

„ზამთარმა კვლავ გაიარა
გაზაფხულის დადგა ძალა*)

ყვენ ვერ დავბეჭდავთ ამოდენა „გაზაფხულის ლექსს„ და აუცილებლათ გსურთ დაბეჭდა, მიეცით ივანე როსტომაშვილს გონორარი სტრიქონზე ათი შაური, სულ 379 მან. 50 კ. და დიდის სიამოვნებით დაგიბეჭდავს ქართველი მწერლობის სადღეგრძელოთ.

ფოთი. წყალ წაღებულს რედაქცია ძლიერა სწუხს, რომ წყალს თქვენ წაუღირხარ და არა თქვენი ლექსი.

სამტრედია მოუთმენელს. ძლიერ გვიკვირს სამტრედიელი მგოსნისაგან ასეთი მოუთმენლობა:

„ველით ველით მოუთმენლათ,
კოტე მესხის მსახიობებს
ველით, რო სულ ნათელს მოფენს
ჩვენი ქვეყნის ველ-ჭაობებს“

ახირებული ლექსია. გარწმუნებთ, თქვენ გინდა არც ელოდოთ, საიუბილეთ ეგზეკუცია მაინც მოვა, მაგრამ გაანათლებს თუ არა „ველ-ჭაობებს, ეს კი აღარ ვიცით.

— კ.

*) აი ახლა :უტყდება ჩვ:ს რედაქტორს ხათაბალა!!!

რედაქტორ გამომცემელი
გაიოზ ჯაფვაძე

ქ. ბათუმი.

ძმ. მგელაძეების ჭურჭლეულობის მაღაზიაში

მიხაილოვის ქ. სახლი № 32

10 მარტიდან — **20** აპრილამდე

დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი ჭურჭლეულობა: ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ბრონლის, შუშის და სხვ. საქონლებისა. სამოვრები, ვენის წნული სკამები, კრაოტები, სტოლსაფრები (კლიონკები) გიტარები, სამზარეულოს სხვა და სხვა საჭირო ნივთები და სხვ.

ვიმედოვნებთ, რომ პატივცემული საზოგადოება არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და პირადათ დარწმუნდება საქონლის სიიაფეში.

პატივისცემით **ძმ. მგელაძეები.**

ელ-ტრო-მბეჭდავი სტამბა ეს. კერესელიძისა გოლოვინის პროსპ. № 43.